

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის
პრევენციის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2016 წ.

ქ. თბილისი

შინაარსი:

- 1 ხელმძღვანელობის წერილი
- 2 აუდიტორის დასკვნა
- 3 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 4 სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 5 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
- 6 ფულადი ნაკადების ანგარიშგება.
- 7 ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლების ანგარიშგებების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, შენიშვნები და განმარტებები



N OL-8647/FED-7/17

თარიღი 26.07.2017

შპს „კონსაუდის“ აუდიტორებს

ეს ოფიციალური წერილი მოვამზადეთ თქვენ მიერ ჩატარებულ, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ 2016 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკაშირებით, რომლის მიზანია, აუდიტორების მოსახრების გამოხატვა იმის შესახებ, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ვადასტურებთ, რომ:

ფინანსური ანგარიშება

- შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებები, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ამას ითვალისწინებდა 2017 წლის 03 მაისით დათარიღებული აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად აღნიშვნული სტანდარტების შესაბამისად
- სააღრიცხვო შეფასებებისათვის ჩვენ მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები გონივრულია.
- დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები და ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის აღრიცხული და განმარტებით შენიშვნებში ასახული.
- ფინანსური ანგარიშების თარიღის შემდეგ მომზადარი ყველა მოვლენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან გამარტებით შენიშვნებში ასახვას, შესაბამისად იქნა გათვალისწინებული
- შევასწორეთ ყველა არსებითი უზუსტობები, თქვენგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძვლზე. შეუსწორებელი უზუსტობების გადაწყვეტილი ფინანსურ ანგარიშგებაზე, არც ცალ-ცალკე და არც ერთიმობაში, არსებითი არ არის.
- კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულების ყველა ასპექტი, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- შევასრულეთ მარჯვული ირგანოების ისეთი მოთხოვნები, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- კომპანიას ადგვატური საკუთრების უფლება გააჩნია ყველა აქტივზე; ადგილი არ ჰქონია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადგების შემთხვევას, ან კომპანიის აქტივების დატვირთვას სხვა სახით, გარდა იმისა, რაც ფინანსური ანგარიშგების 1 შენიშვნაშია აღნიშვნილი;
- არა გვაქს დაგეგმილი რომელიმე მომსახურების შეწყვეტა, ან სხვა ისეთი განზრახვა, რომელიც გამოიწვევდა სასაქონლო-მატერიალური ფასურულებების მარაგის სიჭარეს ან დამველებას. ამასთან, სასაქონლო-მატერიალური ფასურულებების მარაგი სასახულია ისეთი თანხით, რაც არ აღემატება ნეტო სარგალიზაციი დირექტულებას;
- ადგილი არ ჰქონია არანაირი გრძელვადანი აქტივების (ინსტრუმენტების) ნეტო სარეალიზაციი დირექტულების გაუფასურებას, რომლის ფუნქციური შესაძლებლობები ახლა ჩანაცვლებულია ახალი მანქანა-დანადგარებით.

აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია

- ჩვენ თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ:
 - ჩვენთვის ცნობილი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის შესაფერისი ყველა ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, სააღრიცხვო ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;
 - თქვენ მიერ აუდიტის მიზნებისათვის მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია; და
 - კომპანიაში იმ პირებთან შეუზღუდულავი კონტაქტის შესაძლებლობა, ვისგანაც, თქვენი აზრით, მიზანშეწონილი იყო აუდიტორული მტკიცებულებების მიღება.
- ყველა ოპერაცია ასახულია სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოგაწოდეთ ჩვენი შეფასების შედეგები იმის რისკისა, რომ თაღლითობის გამო შეიძლება ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი იყოს;
- გაგიმუდავნეთ ჩვენთვის ცნობილი სრული ინფორმაცია თაღლითობასთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკაშირებით, რასაც შეეძლო გავლენის მოხდენა სამეურნეო სუბიექტზე და რაშიც მონაწილეობდნენ:
- ხელმძღვანელობა;
- თანამშრომლები, რომლებიც შედარი კონტროლთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; ან
- სხვები, როდესაც თაღლითობას შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რომელიც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახდენს გავლენას და გაცწობეს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარეგულირებელმა ორგანოებმა და სხვებმა;

- გაცწობეთ კანონმდებლობის დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ყველა ცნობილი შემთხვევა, რომელთა გავლენა გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;
- გაგიმუშნეთ ჩვენთვის ცნობილი, სამუშაოების სუბიექტის დაკავშირებული მხარეების ვინაობა და გაცწობეთ დაკავშირებულ მხარეთა ყველა ურთიერთობისა და ოპერაციის შესახებ.



ლაშა კილაძე

დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის

პრევენციის ცენტრი“

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს

მოსაზრება

ჩვეულება შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური წენგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მოვითხოვეთ გამოვლენილი არსებითი უზუსტობის შესწორება, რომელმაც განაპირობა 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ციფრების შეცვლა. ასე-ის შესაბამისად, ჩვენ 2016 წლის აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ ფინანსური ანგარიშგების N16 შენიშვნაში აღწერილი შესწორებები, რომლებიც განხორციელდა 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების შესწორებისათვის, ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი იყო და სწორად არის გაკეთებული. ჩვენ არ ვიყავით დანიშნული შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2016 წლის 25 თებერვალს გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამეტველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასე-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასა-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
 - შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ფსიქიური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
 - ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრულობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ფსიქიური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრულობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ფსიქიური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- შპს „ფსიქიური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორი

კ. დათიაშვილი

31.07.2017 წ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2016

31.12.2015

31.12.2014

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები			
მირითადი საშუალებები	1 16 056 778	16 276 715	8 031 509
არამატერიალური აქტივი	2 8 223	8 997	37 421
გადავადებული საგადასახადო აქტივი	3 -	49 968	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	<u>16 065 002</u>	<u>16 335 680</u>	<u>8 068 930</u>
 მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მტკრიალური ფასეულობები	4 1 179 061	729 986	661 195
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 1 064 196	1 192 777	761 600
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	6 129 190	22 529	83 515
სულ მიმდინარე აქტივები	<u>2 372 447</u>	<u>1 945 292</u>	<u>1 506 310</u>
სულ აქტივები:	<u>18 437 449</u>	<u>18 280 972</u>	<u>9 575 240</u>
 საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9 322 111	9 099 071	8 978 589
რეზერვები	17 8 158 059	8 317 433	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	16 (306 389)	(526 570)	(145 432)
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>17 173 781</u>	<u>16 889 934</u>	<u>8 833 157</u>
 გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახდი	-	-	94 681
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	<u>94 681</u>
 მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7 908 434	1 036 941	355 890
საგადასახადო ვალდებულებები	8 96 262	77 961	47 163
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9 258 972	276 137	244 349
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>1 263 668</u>	<u>1 391 039</u>	<u>647 402</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>18 437 449</u>	<u>18 280 972</u>	<u>9 575 240</u>

გენერალური დირექტორი



მთ. ბუდალტერი

ა ჭიათურა

გიგი ჭევია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ზურქცოური
მემკვიდრეობით

		31.12.2016	31.12.2015	31.12.2014
ამონაგები	10	9 358 221	9 138 180	9 360 642
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	7 005 726	7 516 267	6 004 686
საერთო მოგება		2 352 494	1 621 912	3 355 956
სხვა შემოსავალი	12	1 417 286	1 321 418	-
კომერციული დანახარჯები	13	20 316	21 566	-
ადმინისტრაციული დანახარჯები	14	3 379 935	3 096 768	2 815 574
სხვა ხარჯები	15	149 358	206 124	472 755
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		220 170	(381 128)	67 627
მოგების გადასახადი		-	-	(32 278)
საანგარიშო წლის მოგება		220 170	(381 128)	35 349
სხვა სრული შემოსავალი				
ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა	17	-	8 327 476	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	8 327 476	-
სულ საანგარიშებო წლის სრული შემოსავალი		220 170	7 946 348	35 349

გენერალური დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ნ. - ჭ. ჭ. ჭ.

გიგო ჭევიშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
<u>31.12.2014 ნაშთი</u>	<u>8 978 589</u>	<u>(260 026)</u>	<u>518 652</u>	<u>9 237 215</u>
წინა საანგარიშო პერიოდების შესწორება		260 026	(664 083)	(404 057)
<u>31.12.2014 ნაშთი</u>	<u>16 8 978 589</u>	<u>-</u>	<u>(145 431)</u>	<u>8 833 158</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	120 482	-		120 482
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება	17 -	8 317 433		8 317 433
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(381 128)	(381 128)
<u>31.12.2015 ნაშთი</u>	<u>9 099 071</u>	<u>8 317 433</u>	<u>(526 559)</u>	<u>16 889 945</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	223 040.00	-	-	223 040
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება	-	(159 374.00)	-	(159 374)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	220 170.39	220 170
<u>31.12.2016 ნაშთი</u>	<u>9 322 111</u>	<u>8 158 059</u>	<u>(306 389)</u>	<u>17 173 781</u>

გენერალური დირექტორი

5. აშენა



მთ. ბუდალტერი

5. აშენა

ლიკვიდი ღიგი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(აღმოჩენის დღის კვლევითი დოკუმენტი)

	31.12.2016	31.12.2015	31.12.2014
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	9347105	9041364	7682159
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(3 434 796)	(3 473 679)	(2 530 200)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	<u>(4 421 281)</u>	<u>(4 387 907)</u>	<u>(4 238 262)</u>
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	1 491 028	1 179 778	913 697
გადახდილი გადასდახადები	<u>(1 140 202)</u>	<u>(1 108 861)</u>	<u>(1 133 827)</u>
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	350 826	70 917	(220 130)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>350 826</u>	<u>70 917</u>	<u>(220 130)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(253 322)	(137 950)	(71 204)
მიღებული პროცენტები	<u>9 061</u>	<u>6 047</u>	<u>3 127</u>
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(244 261)</u>	<u>(131 903)</u>	<u>(68 077)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	118 100	-
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	129	-	-
სავალუტო გადაფასების ხარჯი	<u>(33)</u>	<u>-</u>	<u>-</u>
სფინქსის საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>96</u>	<u>-</u>	<u>-</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	<u>106 661</u>	<u>(60 986)</u>	<u>(288 208)</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>22 529</u>	<u>83 515</u>	<u>371 723</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>129 190</u>	<u>22 529</u>	<u>83 515</u>

გენერალური დირექტორი

მთ. ბუდალტერი ნ. კუჭუკოვი

ნინო ჭეიშვილი



**ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული
სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

I. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფინანსური ჯამრთელობის და ნარკომანიის პრეზენციის ცენტრის“ წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

შპს „ფინანსური ჯამრთელობის და ნარკომანიის პრეზენციის ცენტრი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. თბილისში. საწარმოს 100%-ით დამფუძნებელია სახელმწიფო, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სახით.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2012 წლის 23 აპრილის N1-3/292 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სს „მ. ასათიანის სახელობის ფინანსურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სს „ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ შერწყმა (გაერთიანება) და მათ ბაზაზე 2012 წლის 21 მაისს დაფუძნდა შპს „ფინანსური ჯამრთელობის და ნარკომანიის პრეზენციის ცენტრი“. საწარმომ რეგისტრაცია გაიარა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 404945164. საწარმოს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქავთარაძის N 21ა.

საზოგადოება, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, საწარმოს ძირითადი საქმიანობაა მიღებული ლიცენზიებისა და უფლებების ფარგლებში შესაბამისი პროფილით მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, სტაციონალური, ამბულატორიულ-პროფილაქტიკური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სახით. ასევე საწარმო ეწევა სამეცნიერო-კვლევით, სადიაგნოსტიკო, სამედიცინო ექსპერტიზის, ამბულატორიულ-პოლიკნიკური და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებას. საწარმოს უფლება აქვს განახორციელოს წებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

**II. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
და სააღრიცხვო პოლიტიკა**

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების 2014 წლის რედაქციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. თუმცა მირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების მიმართ გამოყენებულია რეალური ღირებულებით შეფასების მიღებომა საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობ ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები მცელ სტანდარტებში და ინტერპრეტაციები

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „ბუღალტული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) 2014 წლის 1 იანვრისათვის სამოქმედოდ დამტკიცებული ვერსიის საფუძველზე. შემდგომ პერიოდში მიღებული იქნა ახალისტანდარტები და ცვლილებები შევიდა მოქმედ სტანდარტებში, კერძოდ:

ფასს 15 „ამონაგები მყიდველთან ხელშეკრულების მიხედვით“.

სტანდარტი გამოყენებული უნდა იქნეს საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ.

ფასს 15-ის მიზანია იმ პრინციპის დადგენა, რომელიც უნდა გამოიყენოს საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციის ასახვისათვის, მყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით განპირობებული ამონაგების და ფულადი ნაკადების წარმოშობის ხასიათის, სიდიდის, ვადების და განუსაზღვრელობის შესახებ.

ფასს 15 შეცვლის მყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში ამონაგების აღიარების სააღრიცხვო პოლიტიკას. ასევე შეიცვლება სააღრიცხვო შეფასებებისადმი მიდგომა. სტანდარტის მიხედვით სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები გადის ფასს 2-ის მოქმედების სფეროდან და მოითხოვება მათი განცალკევულად აღრიცხვა.

აგრეთვე სტანდარტი მოითხოვს ამონაგების აღიარებამდე ხელშეკრულების მხარეების მიერ შერულებული ვალდებულების ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში „სახელშეკრულებო აქტივის“ ან „სახელშეკრულებო ვალდებულების“ სახით წარდგენას.

ფასს 16 „იჯარა“.

სტანდარტი გამოყენებული უნდა იქნეს საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ.

ფასს 16 „იჯარა“ ჩაანაცვლებს ბასს 17 „იჯარა“. ფასს 16-ის მიზანია მეიჯარეებისა და მოიჯარეების მიერ იჯარის ოპერაციის სამართლიანად წარმდგენი მართებული ინფორმაციის გამჟღავნების უზრუნველყოფა. სტანდარტი არსებითად ცვლის იჯარასთან დაკავშირებული ოპერაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის პრინციპებს. ეს განსაკუთრებით ეხება მოიჯარის მიერ ფინანსური ინფორმაციის წარდგენას. ფაქტობრივად ერთნაირი მიდგომით დაექვემდებარება აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია მოიჯარის მხრიდან. ფინანსური იჯარა და ჩვეულებრივი იჯარა განხილული იქნება ერთ კონტექსტში. ასეთ კატეგორიებად იჯარის კლასიფიცირება არ მოხდება მოიჯარესთან.

იჯარით მიღებული აქტივი აღიარებული იქნება გამოყენების უფლების ფორმით, ხოლო მასთან დაკავშირებული გადასახდელები საიჯარო ვალდებულებების სახით. იცვლება მათი თავდაპირველი და შემდგომი შეფასების წესები. დამკვიდრდება გამოყენების უფლების ცვეთის ასლებული მიდგომა და მის პარალელურად გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა მოიჯარეს გამოყენების უფლების რეალური ღირებულებით წარდგენა მოუწიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

გამოყენების უფლების სახით აღიარებული აქტივები ფინანსურ ჭირიშებაში წარსადგენი იქნება სხვა აქტივებისაგან განცალკევებით.

იჯარის ფინანსურ და ჩვეულებრივ იჯარად კლსიფიცირების პრიციპი და სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად უცვლელი დარჩება მეიჯარესთან.

აღნიშნული ახალი ფას-ის შემოღების თანმდევი გახდა გადასინჯვის საფუძველზე ცვლილებების შეტანა მოქმედ სტანდარტებში, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს მოცემული ახალი სტანდარტების გამოყენების პარალელურად.

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 22 – „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი გადახდა“.

ინტერპრეტაცია გამოიყენებული უნდა იქნეს 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ინტერპრეტაციის ვადაზე ადრე გამოყენება.

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 22 განმარტავს თუ როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, უცხოური ვალუტით ანაზღაურების ავანსად გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შემთხვევაში აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ინტერპრეტაციის კონსენსუსით, აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს ანაზღაურების ავანსად გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. ამასთან, თუ ანაზღაურების ავანსად გადახდა ან მიღება რამდენიმე ნაწილად ხდება, საწარმომ ოპერაციის თარიღი ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს თითოეული ავანსის გადახდის ან მიღებისათვის.

საწარმო არ გეგმავს აღნიშნული ახალი სტანდარტების და მათ მიღებასთან დაკავშირებით მოქმედ სტანდარტებში შესული ცვლილებების, ასევე ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 22-ის შემოღებას მათი გამოყენების მოთხოვნის მაღაში შესვლის თარიღამდე.

საწარმოს ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ ახალმა სტანდარტებმა შესაძლოა იქონიოს არსებითი ზეგავლენა საწარმოს ფინანსურ ანგარიშებაზე. თუმცა ფინანსური ანგარიშების მომზადების ეტაპზე ჯერ კიდევ არ გაუკეთებია იმის შეფასება, თუ რა გავლენას მოახდენს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშებებზე ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებულ პერიოდებზე.

III. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს მირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული

ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშებაზე.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგება ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი ლარის და უცხოური ვალუტის ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც იგი წარმოიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი უშაულოდ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივების შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან. ამ ოპერაციებისათვის მიღებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ემატება აღნიშნული ქონების თვითღირებულაბას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების თანხების ჯამისგან. მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე.

გადავადებული გადასახადი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულების საბალანსო ღირებულებებსა და მათი შესაბამისი საგადასახადო ბაზის მონაცემებს შორის სხვაობის (დროებითი სხვაობა) შედევს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

თითოეული საანგარიშებო პერიოდის ბოლოს ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების შეფასება და განხილვა და სწორდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომავალი დასაბეგრი მოგების მიმდინარე შეფასებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ პერიოდების დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ, რომელთათვისაც ივარაუდობა გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საანგარიშებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის და მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდებაბ თუ მოსალოდნელიაბ რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების სამედოდ შეფასებაბ

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აისახება გადაფასებული თანხით. რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით. ამასთან გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ამასთან, შემცირების თანხა უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას. საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი შეიძლება გადატანილ იქნეს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე, როდესაც წყდება აქტივის აღიარება. მან შეიძლება მოიცვას ნამეტის მთლიანი მოცულობა, მოცემული აქტივის გასვლის ან გაყიდვის შემთხვევაში, მაგრამ ზოგჯერ ეს გადატანა ხდება საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

მირითადი საშუალების ყოველი ერთეულის ცეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვანდ განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახებაბ როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე. მირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

შენობა-ნაგებობები	3-5%
მანქანა-დანადგარები	14-20%
საოფისე აღჭურვილობა	14-20%
ავეჯი და მოწყობილობები	14-20%
სატრანსპორტო საშუალებები	14-20%
სხვა მირითადი საშუალებები	14-20%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული გადაფასებული ღირებულებით. ცეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული ღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განავეთით.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარა - საწარმო როგორც მოიჯარე

აქტივის იჯარა, რომელთა მიმართებაშიც მფლობელობის რისკები და სარგებელი მეიჯარეს ეკუთვნის, კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა. ჩვეულებრივი იჯარის ობიექტთან დაკავშირებული საიჯარო გადასახდელები აღიარებულია როგორც ხარჯი წრფივი მეთოდით და შესულია გაყიდვების თვითღირებულებაში.

ჩვეულებრივი იჯარა - საწარმო როგორც მეიჯარე

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარის აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მირითადი საშუალების შესაბამის კლასში. ჩვეულებრივი იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში. იჯარიდან მიღებულ შემოსავლის დაკავშირებული დანახარჯები, ცეთის ჩათვლით, აღიარდება ხარჯის სახით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უფირესი თანხით. მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმოს ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპესაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საწარმოს წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

სასამართლო დავები

საწარმო აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდა შესაძლებელი. ისეთ შემთხვევებში როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფიანსური ანგარიშების განმარტებით შენიშვნებში. იმ პირობითი ვალდებულების რეალიზაციას, რომელიც ჯერჯერობით არ არის აღიარებული ან ასახული ფიანსური ანგარიშებაში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. აღრიცხვის ამ პრონციპების გამოყენება სასამართლო შემთხვევებითვის მოითხოვს რომ საწარმოს მენეჯმენტმა მიუთითოს გადაწყვეტილებები ისეთ ფაქტიურ და იურიდიულ საკითხებზე რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება. საწარმო განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს ყოველი ბალანსის შედგენის თარიღში, იმისთვის რომ შეაფასოს ფიანსურ ანგარიშებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ კვლავ შეძლოს მესაკუთრეებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

შენიშვნა 1
(ლარი)

მირითადი საშუალებები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.16	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.15
შეძენის ღირებულება					
1	მიწა	6250000			6250000
2	შენობები	8578962			8578962
3	მანქანა დანადგარები	1650			1650
4	ოფისის აღჭურვილობა	1192648	34756		1157892
5	ავეჯი და ინვენტარი	230286	201968		28318
6	სატრანსპორტო საშუალება	224000	9900		214100
7	სხვა ძირ. საშუალებები	81891	6698		75193
	ჯამი	16 559 437	253 322	-	16 306 115
ობიექტის დასახელება					
		ნაშთი 31.12.16	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.15
ცვეთა					
1	შენობები	182391	171579		10812
2	მანქანა დანადგარები	351	330		21
3	ოფისის აღჭურვილობა	248593	234004		14590
4	ავეჯი და ინვენტარი	9593	9236		357
5	სატრანსპორტო საშუალება	45653	42955		2698
6	სხვა ძირ. საშუალებები	16077	15154		923
	ჯამი	502659	473259	0	29400
	საბალანსო ღირებულება	16 056 778			16 276 715

მირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით აქტივიები მაღანები ასახულია გადაფასებული ღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოყლებით.

2015 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა დაადგინა საწარმოს მირითადი საშუალებების რეალური ღირებულება. შემფასებელი არის მირითადი საშუალებების შეფასების უფლებამოსილი სრულიფარის მფლობელი) პირი.

გადაფასების შედეგად მირითადი საშუალებების ღირებულება გაიზარდა 8327476 ლარით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. შესაფასებელი აქტივების ნაწილის ღირებულება შეცირდა 25593,60 ლარით და აღიარებულია სხვა ხარჯების ზარალის სახით.

მირითადი საშუალებები რომ არ გადაფასებულიყო, მირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბმისად იქნებოდა 7711359 ლარი და 8001315 ლარი, ხოლო დაგროვილი ცვეთა შეადგენდა 544149 ლარს და 491607 ლარს.

საწარმოს 17201 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 260 კვ.მ. და 406 კვ.მ. მიწის ნაკვეთები 21.01.2010 წლიდან დატვირთულია სერვიტუტის უფლებით საქართველოს კონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ.

ცვეთის ნორმისა და ხარჯის დასაღენად მირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადა:

შენობები	15-20 წელი
მანქანა დანადგარები	3-5 წელი
ოფისის აღჭურვლია, ავეჯი და ინვენტარი	3-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5 წელი

არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 2
(ლარი)

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.16	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.15
	შეძენის ღირებულება		4		
1	საბუღ. პროგ. „ინფო საწარმო“	2 500			2 500
2	საბუღ. პროგ. „ორისი“	1 200			1 200
3	სასაწყობო პროგრამა „ინფო“	5 400			5 400
4	ლიცენზია - Win Pro 7 SP1 32-bit	870	870		-
	ჯამი	9 970	870	-	9 100

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.16	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.15
	ამორტიზაცია				
1	საბუღ. პროგ. „ინფო საწარმო“	399	375		24
2	საბუღ. პროგ. „ორისი“	191	180		11
3	სასაწყობო პროგრამა „ინფო“	1 148	1 080		68
4	ლიცენზია - Win Pro 7 SP1 32-bit	9	9		-
	ჯამი	1 747	1 644	-	103
	საბალანსო ღირებულება	8 223	(774)	-	8 997

არამატერიალური აქტივების ცენტ დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები გალანში ასახულია გადაფასებული ღირებულებიდან კუმულარებული ცენტ თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 3

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მოვების გადასახადის ნაწილში, 2016 წელს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ფინანსური მდგრამართობის ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და კალდებულებებს საგადასახადო მიზნებისათვის არ გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობა - საგადასახადო ბაზა. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ საანგარიშებო პერიოდებში არ წამოიშობა დასაბუღრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და მოვების გადასახადი წარდგენილი იქნება მიმდინარე გადასახადის სახით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო კალდებულების საბალანსო ღირებულებების საანგარიშებო თარიღისათვის გადასინჯვის შედეგად მოხდა მათი ანულირება. კერძოდ ხარჯად აღიარებული იქნა 49968 ლარი.

შენიშვნა 4

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1	ხარჯად აღიარებული მარაგი	1 844 525	1 737 146
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	766 858	693 005
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	1 179 061	729 986

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულა შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

2016 წელში მოხდა გასული პერიოდის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების შესწორება კერძოდ, ჩამოიწერა კომპანიების შერწყმის დროს წარმოწომილი არაიდენტიფიცირებადი ნაშთი 31809.97 ლარის და 2015 წელში ინვენტარიზაციით წარმოწომილი დანაკლისის 5062.32 ლარი. სულ 2015 წელში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთები გაკორექტირდა 36872.29 ლარით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 5
(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1	მოთხოვნები მიწოდებიდან	1 270 613	1 154 309
2	საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(206 642)	-
3	გადახდილი ავანსები	-	29 307
4	მოთხოვნები საწარმოს პერსონალთან	75	582
5	სხვა დარიცხული მოთხოვნები	151	8 580
	ჯამი	1 064 196	1 192 777

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები

(ლარი)

დასახელება		ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1 ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	110 180	21 816	
2 ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	4		3
3 ფული სალაროში	19 007		710
ჯამი	129 190		22 529

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება		ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1 ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან	813 753	942 260	
2 ვალდებულება ჯარიმებით და საურავებით	94 681		94 681
ჯამი	908 434		1 036 941

2015 წლამდე არსებულ ფინანსურ შედეგზე მოძღვა წინა პერიოდის ვალდებულებათა ნაშთის კორექტირება, კერძოდ 534,91 ლარის ვალდებულება ჩამოიწერა 2014 წლის ფინანსურ შედეგზე, ხოლო 118 ლარის დაზღვევის ხარჯიდან სარმომობილი ვალდებულება 2015 წლის ფინანსურ შედეგზე.

შენიშვნა 8

საგადასახადო ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება		ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1 მოგების გადასახადი	2 922		2 922
2 საშემოსავლო გადასახადი	56 552		53 374
3 დღგ - გადასახადი	21 205		12 764
4 ქონების გადასახადი	6 769		315
5 დანარჩენი საგადასახადო ვალდებულება	8 813		8 585
ჯამი	96 262		77 961

შენიშვნა 9

(ლარი)

დასახელება		ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
1 შრომის ანაზღაურების ვალდებულება	258 452		274 503
2 ვალდებულება პერსონალის წინაშე	520		1 634
ჯამი	258 972		276 137

შენიშვნა 10

(ლარი)

დასახელება	2016 წელი	2015 წელი
1 შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	8 458 127	8 178 998
2 შემოსავალი ნარკომანიის მკურნალობის მომსახურებიდან	914 010	911 362
3 შემოსავალი ფსიქიატრიის მკურნალობის მომსახურებიდან	130 706	71 731
4 პროგრამული მომსახურების შემოსავლის კორექტირება	(144 622)	(23 911)
ჯამი	9 358 221	9 138 180

გაწეული მომსახურების თვითღირებულება

შენიშვნა 11
(ლარი)

დასახელება	2016 წელი	2015 წელი
1 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ხარჯი	2 153 810	2 699 048
2 პირდაპირი ხელფასის ხარჯი	4 082 467	3 920 668
3 შემენილი მომსახურების ხარჯი	762 523	885 081
4 სხვა საოპერაციო ხარჯი	6 925	11 470
ჯამი	7 005 726	7 516 267

ჩვეულებივ იჯარასთან დაკაცირებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები

	მინიმალური საიჯარო გადასახდელი	თანხა (ლარი)
1	31.12.2016 წლიდან 1 წლის განმავლობაში	90 484
2	31.12.2017 წლიდან 4 წლის განმავლობაში	72 000

სხვა შემოსავალი

შენიშვნა 12
(ლარი)

დასახელება	2016 წელი	2015 წელი
1 ბანკიდან მიღებული პროცენტი - %	9 061	6 047
2 მიღებული ჰუმანიტარული მედიკამენტები	928 442	941 573
3 სასწავლო კათედრიდან მიღებული შემოსავალი	5 076	2 968
4 პირგასამტებლო ჯარიმების შემოსავალი	56 133	411
5 მიღებული საწვავი	9 291	10 156
6 საიჯარო შემოსავლები	5 649	11 852
7 ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი	-	44 804
8 შემოსავალი დაკავებული ხელფასებიდან	2 523	1 612
9 ინვენტარიზაციით გამოვლენილი ზედმეტობა	-	278 025
10 შემოსავლად აღიარებული გადაფასების ნამეტი	159 374	10 043
11 საიჯარო შემოსავლები სტუდენტების სწავლების პროცე	30 509	9 241
12 კრედიტორული ვალდებულების ჩამოწერა	166 681	-
13 არაიდენტიფიცირებული ხელფ. ვალდებულებათა ჩამოწერა	34 130	-
14 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	10 416	4 686
ჯამი	1 417 286	1 321 418

კომერციული დანახარჯი

შენიშვნა 13
(ლარი)

დასახელება	2016 წელი	2015 წელი
1 რეკლამის ხარჯი	2 563	3 648
2 მიწოდების ტრანსპორტირების ხარჯი	17 754	17 919
ჯამი	20 316	21 566

ადმინისტრაციული დანახარჯი

შენიშვნა 14
(ლარი)

დასახელება	2016 წელი	2015 წელი
1 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ხარჯი	123 533	112 519
2 შრომის ანაზღაურების ხარჯი	1 541 778	1 540 600
3 შეძენილი მომსახურების ხარჯი	1 014 961	919 437
4 ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	474 903	487 049
5 საგადასახადო (ქონება, მიწა) ხარჯები	6 683	466
6 სხვა ხარჯი	218 078	36 696
ჯამი	3 379 935	3 096 768

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კომპესაცია

დასახელება	2016 წელი	2015 წელი
მოსამსახურეთა მოკლევადიანი სარგებელი (ხელფასი	116 588	132 150

სხვა ხარჯები

შენიშვნა 15
(ლარი)

დასახელება	2016 წელი	2015 წელი
1 საჯარო მომსახურების (ცნობები, დასკვნები და სხვა) ხარჯი	291	1 962
2 უსასყიდლო მომსახურებიდან ჩამოწერილი მოთხოვნა	42 666	23 133
3 გადახდილი ჯარიმები და საურავების ხარჯი	30 084	18 626
4 ჩამოწერილი აქტივების ხარჯი	49 968	154 134
5 სხვა ხარჯი	26 349	8 269
ჯამი	149 358	206 124

გაუნაწილებელი მოგება - ზრალი

შენიშვნა 16
(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15	ნაშთი 31.12.14
1 საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე	(306 389.00)	(79 338.00)	258 625.50
2 მოთხოვნების საწყისი ნაშთის ცვლილება	-	-	38 112.67
3 დაზღვევის ხარჯის ნაშთის ცვლილება	-	(118.00)	(118.00)
4 სხვა კორექტირებები	-	(534.91)	(534.91)
5 უიმედო დებიტორების ჩამოწერა	-	(472 940.10)	(472 940.10)
6 არაიდენტიფიცირებული საქონლის ჩამოწერა	-	(31 810.13)	(31 810.13)
7 არაიდენტიფიცირებული ვალდებული ჩამოწერა	-	71 662.00	71 662.00
8 არაიდენტიფიცირებული მიმდი. აქტივ. ჩამოწერა	-	(8 429.00)	(8 429.00)
ოფისის აღჭურვილობის დანაკლისის ჩამოწერა	-	(5 062.32)	-
9 ნაშთი ცვლილების შედეგ	(306 389)	(526 570)	(145 432)

ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა

შენიშვნა 17
(ლარი)

დასახელება	2016 წელი	2015 წელი
1 გადაფასების ნამეტის საერთო ღირებულება	8 317 433	8 327 476
2 გადაფასების ნამეტის შემცირება ცვეთის პროპორციულად	(159 374)	(10 043)
3 გადაფასების ნამეტის ნაშთი	8 158 059	8 317 433